საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000001791195520

№ 02-24-R **04 / თებერვალი / 2020 წ.**

ბრძანება

საკუთრებაში არსებული ფონდების, ჩანაწერების, მასალების და სხვ. გამოყენების წესის შემმუშავებელი/ცვლილებების სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **შეიქმნას ჯგუფი სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახლეობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკუთრებაში არსებული აუდიო ჩანაწერების/მასალების გამოყენების პირობების შესამუშავებლად შემდეგი შემადგენლობით** ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიისა და საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიის პერსონალის მონაწილეობით:

- რ. წურწუმია
- ნ. რაზმაძე
- ქ. მათიაშვილი
- მ. ნადარეიშვილი
- ნ. ზუმბაძე
- ო.კაპანაძე
- მ. სუხიაშვილი
- ნ.ნაკაშიძე

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს **2020 წლის 10 მარტამდე** კონსერვატორიის საკუთრებაში არსებული აუდიო ჩანაწერების/მასალების, ფონდებით სარგებლობის წესის მუშა ვერსიის შექმნა და საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებისათვის კონსერვატორიის იურისტისა და რექტორისათვის დაგზავნა.

3. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე დაეკისროს კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსს ასოც. პროფ. მ. ნადარეიშვილს.

4. შეიქმნას ჯგუფი სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახლეობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმში დაცული მასალების გამოყენების შემუშავების მიზნით შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ჩიხლაძე
- ნ. ხატიაშვილი
- ნ. ხორბალაძე

5. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე დაეკისროს კონსერვატორიის მუზეუმის ხელმძღვანელს მ. ჩიხლაძეს.

6. კონსერვატორიის მუზეუმის ხელმძღვანელს მ. ჩიხლაძეს დაევალოს **2020 წლის 10 მარტამდე** მუზეუმში დაცული მასალებით სარგებლობის წესის დოკუმენტის შექმნა და საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებისათვის დაგზავნა კონსერვატორიის იურისტისა და რექტორისათვის.

7. შეიქმნას ჯგუფი სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახლეობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების და მასალების გამოყენების წესის დახვეწის და ცვლილებების შემუშავების მიზნით შემდეგი შემადგენლობით:

- მ. მეტრეველი
- ნ. გოდერიძე
- ნ. კილაძე
- მ. მელიქიშვილი

8. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე დაეკისროს კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს მ. მეტრეველს

9. კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს მ. მეტრეველს დაევალოს **2020 წლის 10 მარტამდე ბიბლიოთეკაში დაცული ფონდებით და მასალებით** სარგებლობის წესის დოკუმენტის შექმნა და საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებისათვის დაგზავნა კონსერვატორიის იურისტისა და რექტორისათვის.

10. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფების მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადებზე დაეკისროს კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსს ასოც. პროფ. მ. ნადარეიშვილს.

11. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ გვერდის ადმინისტრატორს.

12. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის კანცელარიას.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე